საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ინოკენტი

მთავარეპისკოპოსი
ინოკენტი

ინოკენტი (ერისკაცობაში – ივანე ვასილის ძე ბ ე ლ ი ა ე ვ ი) (23. IX. 1862, ვლადიმირის გუბერნია, – 9. IX. 1913, პეტერბურგი, დაკრძალულია პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის ნიკოლსკის საძმო სასაფლაოზე), საქართველოს ეგზარქოსი, ქართლისა და კახეთის მთავარეპისკოპოსი 1909–13. ვლადიმირის სას. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო ამავე ქალაქის სას. სემინარიაში. 1885 ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაამთავრა ყაზანის სას. აკადემია. 1895 ბერად აღიკვეცა. იმავე წლის 26 მარტს ხელდასხმულ იქნა მღვდლად და მალევე არქიმანდრიტის პატივი მიენიჭა. 1899 თავდაპირველად იყო სუმსკის, შემდგომ კი ხარკოვის მთავარეპისკოპოსი, 1901 დეკემბრიდან – ნარვის ეპისკოპოსი, 1903-იდან კი – ტამბოვისა და შაცკის ეპარქიის მმართველი. ამ დროს მან მონაწილეობა მიიღო ღირსი სერაფიმე საროველის წმ. ნაწილთა აღმოყვანებაში. აღნიშნულ ეპარქიაში აქტიურად იბრძოდა მომრავლებული სექტანტების წინააღმდეგ.

ი-ის საქართველოში ჩამოსვლა დაემთხვა ქუთაისში გამართულ საეპარქიო ყრილობის - სხდომას. დეპუტატებმა ყრილობის სახელით ახალჩამოსულ ეგზარქოსს მისალმება გაუგზავნეს და გამოთქვეს იმედი, რომ ივერიის სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებათა განახლებისა და აღდგენის საქმეში საჭირო ნაბიჯებს გადადგამდა. საპასუხო მიმართვაში ეგზარქოსი გადაჭრით აცხადებდა უარს ივერიის ეკლესიის მისწრაფებებისა და უფლებების აღდგენის ხელშეწყობაზე.

ი. სარგებლობდა კავკასიის მეფისნაცვლის, ვორონცოვ-დაშკოვის მფარველობით და - მოხერხებულად, შენიღბულად ავიწროებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლ ქართველ სას. პირებს. ხშირად უკონტროლოდ ერეოდა საეგზარქოსოს საფინანსო საკითხებში. მისი მოღვაწეობის უღირსი საქმეების შესახებ ეპისკოპოსმა დავითმა (იხ. *დავით მიტროპოლიტი*) 1912 მიმართვა გაუგზავნა რუსეთის წმ. სინოდს.

ი-მ ქართვ. ავტოკეფალიის მომხრეთა გულის მოსაგებად დაუშვა საღვთო სჯულის სწავლება ქართ. ენაზე. მისივე ინიციატივით ბოდბის, სამთავროსა და მამკოდის მონასტრებში ჩამოყალიბდა მოწყალების დების მოსამზადებელი კურსები. ამავე მიზნით თბილისში დაარსდა წმ. ნადეჟდას სახ. საძმო.

ი. არჩეული იყო მოსკოვისა და ყაზანის სას. აკადემიების საპატიო წევრად, წმ. იოანე კრონშტადტელის სახ. ეკლესიურ-საქველმოქმედო საზ-ბის წევრად. დაჯილდოებული იყო ძვირფასი ქვებით შემკული პანაღიით, კუნკულაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით.

ლიტ.: ц и н ц а д з е к., ჩემი მოგონებებიდან, თბ., 2001; Православная энциклопедия, т. 22, М., 2010; Ц а г а р е л и А., Статьи и заметки по грузинскому церковному вопросу, СПб., 1912; Экзарх Грузии Иннокентий, «Церковные ведомости», 1913, №37.

ე. ბუბულაშვილი